

იოსებ სიბოშვილი

ესაბტვირო სიყვანული  
ადგილის დედისა



იოსებ სიბოშვილი

უსაზღვრო სიყვარული  
ადგილის დედისა



გამომცემლობა „მწიგნობარი“  
თბილისი, 2022

ნიგნში მოთხრობილია ღირსეული ქართველის, საზოგადო მოღვაწის, ქველმოქმედის და მეცენატის - ბატონი გელა ძიძიკაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მისმა კეთილგონიერებამ და ხალხისადმი სიყვარულმა, ჯერ კიდევ ავადსახსენებელი ოთხმოცდაათიანებიდან მოყოლებული, ბევრი ადამიანი იხსნა გაჭირვებისაგან. ხოლო ბატონი გელას უსაზღვრო სიყვარულმა ღმერთისა და სამშობლოსადმი ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილებს კიდევ ერთხელ გაახსენა ქართული საისტორიო მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენლის არსენ ამარტოლის სიტყვები: „დიდ არს ძალი სიყვარულისაი, რომელი მორჩილ ჰყოფს გონებასა შესაძლებლად შეუძლებელსაცო“.

ძიძიკაშვილების ჯიშ-ჯილაგის ბრწყინვალე შთამომავალს - ბატონ გელას დაბადებიდანვე აჰყვა ღირსი ანტონ მარტოდმყოფელის მიერ მშობლიურ სოფელ ნორიოზე დავანებული ღვთის მადლი და მისი მრავალწლიანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გვირგვინად იქცა მის მიერვე აღდგენილი და აშენებული წმიდა თომა მოციქულის სახელობის ტაძარი - კვირაცხოველი.

რედაქტორი

მანანა გორგიშვილი

დამკაბადონებელი

თამარ ტყაბლაძე

ISBN 978-9941-503-06-1

© იოსებ სიბოშვილი, 2022

© გამომცემლობა “მწიგნობარი”, 2022



წმიდა წერილი გვასწავლის: „და სცნათ ჭეშმარი-  
ტი და ჭეშმარიტებამან განგანთავისუფლნეს თქვენ“. ჭეშმარიტება ღმერთია, სამყაროს შემოქმედი, რომე-  
ლიც ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას. ჩემი გვა-  
რისა და ჯიშ-ჯილაგის მართლმადიდებლური ფესვები  
საუკუნეების სიღრმიდან მოდის და გადაჯაჭვულია  
ერთ-ერთი ასურელი მამის ანტონ მარტომყოფელის  
მიერ დაარსებულ ღვთაების მონასტერთან და მასთან  
არსებულ ნორიოს თომა მოციქულის (კვირაცხოველი)  
სახელობის ტაძართან. წინაპრების ხსოვნა და სისხლის  
მეხსიერება ახალგაზრდობიდანვე მოსვენებას არ მა-  
ძლევდა, რომ განმეხორციელებინა ჩემი ცხოვრების  
ძირითადი მიზანი - აღმედგინა კვირაცხოველის ეკლე-  
სია. მუდამ თან მდევდა წმიდა იოანე ოქროპირის სი-  
ტყვები: „ნუ მეტყვი, რომ გიყვარს უფალი - ეს მხოლოდ

სიტყვებია: მიჩვენე სიყვარული საქმით“. ჩემს ოჯახს, წლების განმავლობაში, უამრავი  
ეკლესიის მშენებლობასა და რესტავრაციაში აქვს მონაწილეობა მიღებული, მონაწილეობის  
გაცემას და მადლიერებას ხომ სათვალავი არ აქვს, რადგან კარგად გვაქვს გათავისებული  
წმინდა სიტყვები: „მონაწილეობის გარეშე ლოცვაც უნაყოფოა და ისე არაფერი ესათნობა  
უფალს, როგორც მადლიერება“.

ღმერთის შეწევნით და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოც-  
ვა-კურთხევით მომეცა უფლება და საშუალება, რათა ამესრულებინა ჩემი დიდი ხნის ოც-  
ნება და ჩემს მშობლიურ სოფელ ნორიოში, კვირაცხოველის ეკლესიის ნანგრევებზე ამეშ-  
ენებინა თომა მოციქულის სახელობის ტაძარი. ამასთან, ისე გვეწარმოებინა სამუშაოები,  
რომ არ დაკარგულიყო და არ წარწყმედილიყო არც ერთი არტეფაქტი, თვით წარმართული  
პერიოდისაც კი.

მიზანი მიღწეულ იქნა და დღეს ეს იგავმიუწვდენელი ქმნილება ამაყად დგას იაღნოს  
მთაზე აღმართულ ღვთაების მონასტრის და ანტონ მარტომყოფელის სვეტის წინაშე და  
შეჰღალადებს უფალს თომა მოციქულის სიტყვებს: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“

მინდა მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც გვერდში დამიდგა ამ  
ღვთისთვის სათნო საქმიანობის განხორციელებაში.

*პატივისცემით და კეთილი სურვილებით,  
გელა ძიძიკაშვილი*



## ღირსეული ქართველი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი და მეცენატი



**გელა ჭიჭიკაშვილი მეუღლესთან  
ალა ფორჩხიასთან ერთად**

ლა შემთხვევითი. მას უფალმა განსაკუთრებული მისია დააკისრა და მას ამ გზისთვის არ გადაუხვევია და არც არასდროს გაუმრუდებია. ის მთელი ცხოვრება სიკეთისთვის იღწვის და არა დიდებისა და სახელისთვის. სიკეთეა მისი ცხოვრების უმთავრესი პრინციპი. უფალი, სამშობლო და სიკეთის ქმნა - აი, მისთვის სათაყვანებელი სამება, რომლის ძალითაც ბევრჯერ დაუმარცხებია უკეთურება და მტრობა.

1972 წელს ნორიოს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სამხედრო ბეგარა და სწავლა გააგრძელა აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომლის სრული კურსი, ინჟინერ-ქიმიკოსის სპეციალობით, დაამთავრა 1981 წელს.

1981-1986 წ.წ. მუშაობს თბილისის ცენტრალურ, მთაწმინდის და სამგორის რაიონების აღმასრულებელ ხელისუფლებაში სხვადასხვა თანამდებობებზე და ამასთან ერთად 1987-1988 წ.წ. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიურ ფაკულტეტთან არსებული ერთწლიანი კურსები სპეციალობით - სახალხო მეურნეობის წარმოების ხელმძღვანელი.

1992 წლიდან ბატონი გელა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გეორგიას“ დირექტორია. იგი გახდა მრავალი ეროვნული საქმის მოთავე და მესაძიკველე, რის გამოც საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 2 სექტემბრის 1051-ე განკარგულებით დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვერავითარი ეროვნული ხასიათი ვერ შეინარჩუნებს თავის საუკეთესო თვისებებს, თუ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კულტურაში პიროვნული საწყისები არ ამოქმედდა. ნათქვამია: „უფალი მხოლოდ მას მოჰმადლებს სახელს, ვინც მისგან ბოძებულ ნიჭს სიკეთის ქმნისათვის გამოიყენებს. სიკეთე კი, უპირველესად, ერისთვის სამსახური და კაცთათვის სამაგალითო ღვაწლია“.

უფლის სახელის მატარებელი ადამიანებისათვის კი წუთისოფელში ათასწიერი ლაბირინთებით სავსე გზა ია-ვარდებით არ არის მოფენილი და მისი გავლა მხოლოდ რჩეულთ ძალუძთ.

**ასეთი სახელის ადამიანი, ბატონი გელა ძიძიკაშვილი, 1955 წლის 7 აპრილს მოვევლინა ქვეყანას ძველი კუხეთის მიწაზე, ერთ-ერთი ასურელი მამის ანტონ მარტოდმყოფელის მიერ ნაკურთხ სოფელ ნორიოში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამყაროში შემთხვევით არაფერი ხდება და არც ბატონი გელას დაბადება ყოფი-**

1999-2015 წ.წ. სხვადასხვა ეკონომიკურ საქმიანობასთან ერთად ბატონი გელა 1999-2003 წ.წ. აქტიურად მონაწილეობდა საპარლამენტო არჩევნებში. ხოლო 2015 წლიდან დღემდე გახლავთ თბილისის ელექტრომომძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის დირექტორი.

ბატონმა გელამ, თავის წარმატებულ საქმიანობასთან ერთად, შექმნა ბრწყინვალე ოჯახი, რომელიც ასევე ერთ-ერთი ძლიერი საყრდენია ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრიობისა. ქალბატონი ალა ფორჩხიძე ბატონი გელას შესანიშნავი მეუღლე და ქართველქალობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. ასეთ ქალბატონებზე უთქვამს ვაჟა-ფშაველას: „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა!“ ბატონი გელას და ქალბატონ ალას შვილებმა - დავითმა და ოთარმა თავის მხრივ დაამტკიცეს ქართული სიბრძნის უცყუარობა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

**ბატონი დავით ძიძიკაშვილი** სწავლობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ბოსტონის უნივერსიტეტის დამთავრებისას (1999 – 2001 წ.წ.) მიენიჭა ბაკალავრის (BA) ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში. 2001-2003 წ.წ. კი სწავლობდა კალიფორნიის შტატის პეპერდაინის უნივერსიტეტში ორმაგი სპეციალობით - ეკონომიკა და საერთაშორისო ურთიერთობები. მიენიჭა მაგისტრის ხარისხი (MPP) საჯარო პოლიტიკაში. 2007 – 2008 წ.წ. საფოლკის (აშშ) უნივერსიტეტის დამთავრებისას, მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირებაში მაგისტრის ხარისხი (MBA) ფინანსების სპეციალობით.

აღსანიშნავია, რომ დავითის პეპერდაინის უნივერსიტეტში სწავლისას, საზოგადოებრივი პოლიტიკის ფაკულტეტის დეკანმა, ჯეიმს ვილბურნმა, საქართველოს პრეზიდენტს წერილი მისწერა, სადაც ყურადღებას ამახვილებდა ქართველი ახალგაზრდას განსაკუთრებულ უნარებსა და შრომისმოყვარეობაზე.

სწავლის დამთავრების შემდეგ დავითმა სამსახური განაგრძო ამერიკის შეერთებულ შტატებში. მუშაობდა “Staples incorporated”-ში კორპორატიულ ბუღალტრად, ხოლო 2012 წლიდან დღემდე მუშაობს “National Grid Incorporated”-ში უფროს ფინანსურ ანალიტიკოსად. ამჟამად აქვს თითქმის თხუთმეტწლიანი პროფესიული სამუშაო გამოცდილება ფინანსებში (IFRS & US GAAP), ფინანსურ ანგარიშგებაში, ანალიტიკაში, დაგეგმარებაში, კორპორატიულ ბუღალტერიასა და პროექტების მენეჯმენტში.

ჰყავს მეუღლე შორენა ფეიქრიშვილი და ქალიშვილი ანასტასია ძიძიკაშვილი.



**დავით ძიძიკაშვილი  
ოჯახთან ერთად**





**ოთარ ძიძიკაშვილი  
ოჯახთან ერთად**

**ბატონი ოთარ ძიძიკაშვილი 2000 – 2004**  
წ.წ. სწავლობდა ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში, სადაც მიენიჭა საერთაშორისო ურთიერთობის ბაკალავრის ხარისხი პოლიტოლოგიის სპეციალობით და აკადემიური წარჩინების ჯილდო. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, რამდენიმე თვე მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების სენატში, სენატორ სემ ბრაუნბეკის ოფისში სტაჟიორად.

2004-2005 წ.წ. გახლდათ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს საერთაშორისო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი მრჩეველი საგარეო უსაფრთხოების საკითხების ანალიზის და უწყებათაშორისი კოორდინაციის დარგში. 2005-2006 წ.წ. იყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამდივნოს უფროსი, ხოლო 2006-2010 წლებში ადმინისტრაციის უფროსის

მოადგილე, სადაც კოორდინაციას უწევდა და ხელმძღვანელობდა ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა საზოგადოებასთან ურთიერთობების სტრატეგია, უცხოელი კონსულტანტების საქმიანობა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების მართვა და სხვა.

2010-2012 წ.წ. ოთარ ძიძიკაშვილმა სწავლა განაგრძო ამერიკის შეერთებული შტატების კოლუმბიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ფინანსების და ეკონომიკის პოლიტიკის სპეციალობაზე და მიენიჭა სახელმწიფო ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი.

2012 წლიდან, 2 წლის განმავლობაში, მუშაობდა ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკის საპენსიო რეფორმების ჯგუფში და ჩართული იყო საპენსიო სისტემების შესწავლის და შეფასების საკითხებში. მისი საქმიანობა მოიცავდა კერძო საპენსიო ფონდებზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას, ფონდების მომგებიანობის, კაპიტალის დაბანდების, საინვესტიციო სტრატეგიების ანალიზს. მონაწილეობა აქვს მიღებული მსოფლიო ბანკის მიერ გამოცემული 2 აკადემიური ნაშრომისა და ერთი წიგნის - “The Inverting Pyramid” („ინვერსიული პირამიდა“) - დამუშავებაში.

სწორედ აღნიშნული მნიშვნელოვანი გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის მოწვევით, ოთარ ძიძიკაშვილი 2014 წელს დაბრუნდა საქართველოში და სათავეში ჩაუდგა ქვეყანაში საპენსიო რეფორმის განხორციელებას. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, კაპიტალის ბაზრის და საპენსიო რეფორმის დეპარტამენტის უფროსად მუშაობისას, მან შეძლო წარმატებით დაესრულებინა საქმე, რომელიც წლების მანძილზე, მრავალი მცდელობის მიუხედავად, განუხორციელებელი რჩებო-

და. მსოფლიო ბანკში შექმნილი გამოცდილებით, საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოში შეიქმნა საპენსიო ფონდი, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართულებით.

2017 წლიდან ოთარ ძიძიკაშვილი სათავეში ჩაუდგა ახლადშექმნილ სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს, რომელიც იმ დროისთვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად დაინერგა - ის ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი კომპონენტია და უზრუნველყოფს დეპოზიტორებისთვის კუთვნილი თანხების ანაზღაურებას, იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის მიმართ ლიკვიდაციის პროცესი იწყება. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, მართავს დეპოზიტების დაზღვევის ფონდს და უზრუნველყოფს სისტემის გამართულ და ეფექტიან ფუნქციონირებას. გასული წლების განმავლობაში, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტომ, ოთარ ძიძიკაშვილის ხელმძღვანელობით, განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი საქმე ახლად დანერგილი სისტემის დახვეწის, განვითარების და გაძლიერების კუთხით. სააგენტო უკვე გახდა დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის (IADI) წევრი.

ბატონი ოთარი მეუღლესთან - გვანცა სალაყაიასთან ერთად სამშობლოს უზრდის ორ შვილს - მარიამ და ნიკოლოზ ძიძიკაშვილებს.

ქვეყნის შესანიშნავი მოქალაქე, მამულიშვილი, ცნობილი მეურნე, ქველმოქმედი, მეცენატი და საზოგადო მოღვაწე ბატონი გელა ძიძიკაშვილი სამშობლოს წინაშე განეული ფასდაუდებელი სამსახურისათვის არჩეულ იქნა მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის წევრად. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა და „ოქროს ფონდმა“ ქართული კულტურის რაინდის წოდება მიანიჭა, ხოლო ქუთაისის მერიამ - „ღვანულმოსილი ქუთაისელის“ წოდება.

ბატონი გელას წარმატების მწვერვალს კი წარმოადგენს მის მიმართ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მადლიერების სიგელი, რომლითაც ის დაჯილდოვდა თავის მშობლიურ სოფელ ნორიოში წმიდა მოციქულ თომას (კვირაცხოველი) სახელობის ტაძრის მშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.





საქართველოს პრეზიდენტის

## ბანკარბულება

№ 1051 1999 წლის 2 სექტემბერი ქ. თბილისი

გ. ძიძიკაშვილის ღირსების ორდენით  
დაჯილდოების შესახებ

კვების მრეწველობის დარგის საწარმოთათვის დამხმარე მასალების წარმოების გაფართოებაში შეგანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი საქველმოქმედო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის შებლულული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გეორგიას“ დირექტორი საქართველოს დამსახურებული ინჟინერი გელა ძიძიკაშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

გ. შევარდნაძე



სახელთა ძამისათა და ძისათა და  
სულისა წმინდისათა

სოფელ ხორიოს წმინდა მოციქული  
თომას (კვირაცხოველი) სახელობის ტაძრის  
ძუგბელობაში შეტანილი განსაკუთრებული  
წვლილისათვის

**ბატონი გელა ძიძიკაშვილი**

დაჯილდოვდეს საბატონო სიგელით

ქ. თბილისი  
2021 წ.

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი





სოჯანდინდა სამება  
 ოხნის სოჯანდინდა ღმერთისაჲსა მძინების კაძის ფრესა

სახელითა ძამისათა და ძისათა და  
 სულისა წმიდისათა

ცხუმ-აფხაზეთის კარქის საქმიანობაში შექანილი  
 მნიშვნელოვანი წვლილისათვის დიქრთმა დალოტოს  
 ძინა ღუთისა ველო დიდკაშვილი  
 და ძიანჭოს ძას დეკრძელობა და კეთილდღეობა.

ქრისტეობა 2008



ცხუმ-აფხაზეთის პეკრობოლიცა

*Handwritten signature in Georgian script.*



ქალაქ ქუთაისის  
მუნიციპალიტეტის მერის  
**მადლოვის სიგელი**  
გადაეცემა

**გელა ქიქიაშვილს**

ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივ ურთიერთობათა და  
მუშაურობის თვითმმართველობის აგაფების საქმეში  
შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და დაბადებიდან  
ნაწილისათვის დააჯილდოვებით

ბიოჩივი ჭილვახია

ქალაქ ქუთაისის  
მუნიციპალიტეტის მერი









## უსაზღვრო სიყვარული ადგილის დედისა

ნეტავ ზენამ როდის შეგქმნა,  
ოქროსფერად მოხატულო,  
როდის გპოვა წმიდა მამამ,  
ისტორიით დალდასმულო,  
ოთხივ კუთხივ დალოცვილო.

იოსებ სიბოშვილი

მეთერთმეტე საუკუნის ქართველი მოღვაწის ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, როდესაც ლეგენდარულმა ქართლოსმა თავის შვილებს - მცხეთოსს, გარდაბოსს, გაჩიოსს, კახოსს და კუხოსს გაუნაწილა ქვეყანა, კუხოსის მამული მდებარეობდა მტკვრისა და არაგვის მარცხენა სანაპიროზე, ბოსტან-ქალაქიდან ჟინვალამდე. კახოსმა ძმას დაუთმო თავისი წილი ერწოში და კუხოსის დროსვე მისი მამული ჩრდილო-აღმოსავლეთით გაფართოვდა ივრის ხეობაში ...

... და ეწოდა ამ ქვეყანას კუხეთი ...

აყვავდა და განვითარდა კუხეთის ნაყოფიერი მიწა. აშენდა ქალაქები და დაბები. ერთ-ერთი ასეთი დასახლება გახლდათ სოფელი, რომელსაც საუკუნეების შემდეგ ეწოდა სახელად - **ნორიო**.



სოფელი ნორიო

ქრისტეს მოციქულებმა, როდესაც წილი ყარეს, თუ ვის სად უნდა ექადაგა სახარება, ივე-რია დედა ღვთისას ერგო, თუმცა ღვთისმშობელი წუთისოფელში ცხოვრებისას ვერ ჩამოვი-და თავის კუთვნილ ქვეყანაში, რადგან უფალმა ის წაიყვანა ზეცაში. თვალცრემლიანმა დედა ღვთისამ შესწივლა თავის შვილს - „მამ რა ვუყო ჩემს კუთვნილ ივერიასო?“ უფალმა ჩვენმა იესომ დააწყნარა დედა და მიუგო - „არ გავწირო ერი ესე საზეპურო უკანასკნელ ჟამამდისო“. მას შემდეგ ქართველთა ქვეყანაში ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანან-ელმა და მატათამ იქადაგეს, თუმცა სარწმუნოების მასიური გავრცელება არ მოხდა და ისევ წარმართობის სიბნელეში დარჩა ივერია. მეოთხე საუკუნეში ღვთისმშობელმა ვაზის ჯვრით წმიდა ნინო გამოგზავნა თავის წილხვედრ ქვეყანაში. ქალწულმა შეძლო შეუძლებელი, უფ-ლის დახმარებით დაამსხვრია წარმართული კერპები და მირიან მეფემ ქრისტიანობა სახელ-მწიფო რელიგიად გამოაცხადა. წმიდა ვახტანგ გორგასალმა ააშენა მრავალი ტაძარი და ივე-რიის ეკლესიას ავტოკეფალია მოუპოვა. ვახტანგ მეფის გარდაცვალების შემდეგ, კვლავ იმძლავრა სატანამ და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, სპარსელების მომძლავრების შე-დეგად, კვლავ წარმართობის ქაობში ჩაეფლო და ფეხი მოიკიდა ცეცხლთაყვანისცემამ. დედა ღვთისამ ქრისტიანობის აღდგენისა და გაძლიერებისთვის საქართველოში ცამეტი ასურელი მამა გამოაგზავნა იოანეს წინამძღვრობით, რომელსაც შემდგომში ზედაზნელი ეწოდა. ხოლო წმიდა მამათა სახელები ასეთი გახლდათ: დავითი, შემდგომში გარეჯელად წოდებული, შიო - მღვიმელი, ანტონი - მარტოდმყოფელი, იოსები - ალავერდელი, აბიბოსი - ნეკრესელი, ზე-ნონი - იყალთოელი, სტეფანე - ხირსელი, ისე - წილკნელი, თადეოზი - სტეფანწმინდელი, ისიდორე - სამთავნელი, მიქაელი - ულუმბოელი, პიროსი - ბრეთელი.

ნორიოს, როგორც ტოპონიმის წარმოშობა, უკავშირდება ერთ-ერთ ასურელ მა-მას - ანტონს, რომელიც მუდამ თან ატარებდა მაცხოვრის კეცის ხელთუქმნელ ხატს. ამ უდიდესი სიწმიდის ისტორია თვით უფალ იესო ქრისტესთან არის დაკავშირებული. ედე-სის მთავარი ავგაროზი უკურნებელი სენით იყო დაავადებული. მას გაგონილი ჰქონდა იესო ნაზარეტელის მიერ მომხდარი სასწაულების შესახებ და სწამდა, რომ იესო ქრისტე იყო ჭეშმარიტი ღმერთი. მას თავისი სწეულების გამო არ შეეძლო უფალთან ასვლა იერუ-სალიმში, ამიტომ იქ გაგზავნა მხატვარი და მალემსრობლი, რათა მხატვარს დაეხატა იე-სოს სახე და ჩაებრძანებინათ ედესაში. ავგაროზს სწამდა, რომ თუ უფლის სახეს შეეხებო-და, მაშინვე განიკურნებოდა.

მხლებლები ავიდნენ იერუსალიმში უფალთან, მაგრამ მხატვარმა ვერ შეძლო იესოს სახ-ის დახატვა. მაცხოვარმა რომ შეხედა მათ გასაჭირს, აიღო ტილო, დაასველა, სახეზე მიიღო და აღიბეჭდა ტილოზე ხელთუქმნელი ხატი უფლისა. წამოვიდნენ მხატვარი და მალემსრ-ბოლი და ღამის გასათევად იერაპოლის მახლობლად მეკეცის სახლში შეჩერდნენ. სიფრთხ-ილისათვის, რათა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი არ დაზიანებულიყო, იგი ორ გამომწვარ კეცს შორის მოათავსეს. შუაღამისას მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს ზეციდან დაადგა ცეცხლოვანი სვეტი. მომხდარით შეშინებულმა მასპინძლებმა და სტუმრებმა თვალი ვერ გაუსწორეს სასწაულს და მიწაზე დაემხნენ. დილით, როდესაც მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი კეცებიდან ამოაბრძანეს, აღმოჩნდა, რომ ხატი კეცზე აღბეჭდილიყო. ეს სასწაული იერაპოლის გამგებელმა შეიტყო და წმინდა კეცი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის გამო-სახულებით თავის სასახლეში დააბინავა. ხელთუქმნელი ხატი კი ედესაში ჩააბრძანეს და მისი მთავარი ავგაროზი სასწაულმოქმედი ხატის შეხებისთანავე განიკურნა.



VI საუკუნემდე წმიდა კეცის ხატი - კერამიონი ქალაქ იერაპოლში ბრძანდებოდა. იგი მწვალებელ ნესტორიანთა ტაძარში იყო დაბრძანებული. როცა VI საუკუნეში წმიდა ანტონი სხვა ასურელ მამებთან ერთად გამოეშურა საქართველოში, მაცხოვრის კეცის ხელთუქმნელი ხატიც წამოაბრძანა მწვალებელთა ტაძრიდან და საქართველოში შემოაბრძანა. თუმცა წმიდა მამა, სანამ კუხეთის ამ მშვენიერ დაბამდე-ნორიომდე მოვიდოდა, დიდი გზის გავლა მოუწია. აი, რას მოგვითხრობს მეფე დავით იმამყული-ხანის 1722 წლის 4 აგვისტოს გუჯარი, რომელიც მიცემული იყო რუსთავის მარტყოფის ეკლესიისათვის:

„ოდეს ყოვლად სანატრელი დაემკვიდრა იოანესა თანა მთასა ზედა ზედაზენისასა, შემდეგ რაოდენსამე დროსა, ბრძანებითა ღვთისმშობელისათა, იოანემ განუტევა ნეტარნი მოწაფენი თვისნი საქადაგოთ; რაოდენი მათგანი წარვიდნენ ქართლს, მიემთხვიენ მთასა დვალეთისასა, ზოგნი წარვიდეს კახეთს, რომელთა შორის იყო ეს სანატრელიცა მამა ანტონ. ოდეს ესმინა მას ბრძანებაი მამისა თვისისა წარსვლა საქადაგოთ, იპყრა ხელსა შინა თვისსა წმ. ხატი უფლისა, რომელიც აქუნდა მას მარადის, სიხარულით შეუდგა კვალსა სამოციქულოს. პირველად მოვლო ქადაგებითა ჩრდილოეთის არენი მთისა ზედასნისანი და მკვიდრთა მათთა კერპმსახურთა უქადაგა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. მრავალნი მათგანნი მოაქცივნა და ნათელს ჰსცა, სახელითა წმ. სამებისათა. შემდეგ ამისა, ოდეს განავრცო სარწმუნოებაი, დაუტევა აქ მღუდელნი, წარვიდა თვით საქადაგოთ კახეთს, განვლო მთა იალდოსი, მივიდა და მოიკითხა თანა მოლუანე თვისი ღირსი და ნეტარი მამა ზენონ იყალთოელი. შემდეგ რაოდენისამე დროსა ნეტარმან ანტონ დაუტევა იყალთო, მივიდა თანა მოლუანესთა თვისთა და მოიკითხა ღირსი და ნეტარი იოსებ ალავერდელი. მასთანა ღირსმან დაჰყო ფრიადი დრო, დამტევებელმან რაოდენისამე შემდეგ დროსა სხუათა თანა მოლუანეთა, დაემკვიდრა ხევსა შინა ლოპოტანისასა, აქა დამკვიდრებისა შემდეგ, მოვლო სანატრელმან ქადაგებითა ყოველნი სანახები მის ადგილისანი და დაარწმუნებდა ყოველთა მათ მრავლითა საკვირველებითა, რომელნი იქმნებოდნენ ხატისაგან მის საუფლოსა. მობაძავნი მის მოღვაწეებისანი მრავალნი დაუტევებდნენ სოფელსა და მონაზონ იქმნებოდნენ, რომელნი დაემკვიდრებოდნენ მას ლელესა შინა, - არა დამტევებელი ადგილი იგი მრავალთა მომსვლელთა, ნეტარმა აღურჩია სხუა ადგილი ალაზნისა გაღმა, რომელთა აღუშენა მათ მონასტერი, შემდეგ ამისა, არა უდებ ქმნილი - ნეტარმა დაუტევა მონასტერი თვისი, მოვლო ქვემო კახეთი ქადაგებითა და დაემკვიდრა უვალსა მთასა ზედა ახმეტისასა, შემდეგ რაოდენისამე დროსა პოვნილ ქმნილი მცხოვრებთა მიერ ახმეტისასა და რათა შეაწუხებდნენ მას, დაუტევა ადგილი იგი თვისი და მიემთხვა მთასა აკრიანისასა...“

ტოპონიმი ა კ რ ი ა ნ ი შემადგენლობის მიხედვით ზედსართავია. მასში - ი ა ნ ქონების მანარმოებელი სუფიქსი გამოიყოფა. რას უნდა ნიშნავდეს თვითონ ა კ რ ა? სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით - „აკრა ესე არს ზღვის პირი კლდოვანი მყის ღრმა დაწყებას(ა)ვე თანა“. ნიკო ჩუბინაშვილი ასე განმარტავს მოცემულ სიტყვას: „აკრა - ზღვის პირი კლდოვანი, ქედი ზღვაზედ წარსიდული“. ორივე შემთხვევაში სიტყვა ა კ რ ა კლდეს უკავშირდება, ხოლო ის კი ყველასთვის უცნობია, აღნიშნული კლდოვანი რელიეფი წარღვნამდელ თუ წარღვნის შემდგომ პერიოდს განეკუთვნება. ასე რომ, ამ ადგილზე, ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო, რომ ყოფილიყო დასახლება და ამას ეპისკოპოსი კირიონიც ადასტურებს: „... ანტონი ნავიდა განსამარტოვებლად აკრიანის მთაზედ, რომელიც უტეხის და გაუვალის ტყით იყო დაფარული...“ თუმცა აღმოჩნდა, რომ აკრიანის მახლობლად ყოფილა დასახლება, რის შესახებაც ცნობილი ქართველი პედაგოგი

და საზოგადო მოღვაწე გიორგი იოსელიანი გვამცნობს 1901 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში „ქართველი წმიდანები“: „ერთხელ ამ სოფლის მამასახლისი, რომელსაც ნორიო ერქვა, თავისი მხლებლებით ნადირობდა. ანტონის ირმებმა იმ დღეს ძლიერ დააგვიანეს და ბოლოს მოიბრინეს. ძლიერ შეშინებულნი იყვნენ და ერთიც დაჭრილი იყო. მამა ანტონი გაკვირდა, არ იცოდა თუ მახლობლად სოფელი იყო. ადგა, დაიკიდა გულზე თავისი ხატი და უკან გაჰყვა ირმებს, უნდოდა შეეტყო, რამ შეაშინა ისინი. წმ. ანტონი ერთბაშად შეხვდა მამასახლისს. უკანასკნელი ძლიერ გაკვირდა, როცა დაინახა მოხუცებული ბერი, რომელსაც გულზე ხატი ეკიდა და ისე იდგა გარეულ ირმებს შორის, როგორც შინაურ პირუტყვებთან. დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ, რადგანაც მამა ანტონმა არ იცოდა ქართული ენა, მამასახლისი ვერას მიუხვდა. მას ანტონი საშიში კაცი ეგონა და ამიტომ ანიშნა, მარჯვენა ხელს მოგჭრიო, რომლითაც მამა ანტონი ანიშნებდა იმ მთას, სადაც ის ცხოვრობდა.

და მართლაც, მამასახლისმა უბრძანა მხლებლებს, წაეყვანათ ანტონი სამჭედლოში და იქ მოეჭრათ მისთვის ხელი. მჭედელმა გაახურა რკინა და უნდოდა შანთით მოეცილებინა ხელი, მაგრამ ერთბაშად რკინაც გაუვარდა ხელიდან და ხელიც გაუშეშდა. მჭედელი შეშინდა და ენა ჩაუვარდა, აღარ იცოდა რა ექნა, მაგრამ წმ. ანტონმა გადასახა ჯვარი და განკურნა. ამ სასწაულმა ყველა გააკვირვა. ყველაფერი იმ წამსვე მამასახლისს აცნობეს. მან მოიხმო წმ. ანტონი და უთხრა: „მითხარი რაც გსურს და აგისრულებო“. მამა ანტონმა ანიშნა, მიეცათ მისთვის ქვის მარილის ნატეხი. მათ მაშინვე მოუტანეს. ანტონი დაბრუნდა თავის გამოქვაბულში. მალე მისი ირმებიც დაბრუნდნენ, რომელთაც მისცა მარილი“.

**ამ გადმოცემით დასტურდება, რომ ეს სოფელი უთუოდ ნორიოა და ეს სახელი მამასახლისთან არის დაკავშირებული. ასე რომ, სოფელმა ნორიომ უმასპინძლა აკრიანზე სამოსაგროოდ მობრძანებულ წმ. მამა ანტონს.**

ცამეტი ასურელი მამიდან, მხოლოდ ერთმა, წმიდა ანტონ მარტოდმყოფელმა ააგო სვეტი, ნიშნად იმ სასწაულისა, რომელიც სულიწმიდის უდიდესი მადლით და ძალით განხორციელდა ქალაქ იეროპოლიდან.

**მამა ანტონის სასწაულმოქმედი ლოცვების შესახებ მალევე შეიტყო ქართველობამ და უამრავი ადამიანი გამოემართა მასთან. ბევრი მთა აკრიანის მიმდებარე ადგილებშიც დასახლდა და შეიქმნა ახალი სოფლები, მათ შორის სოფელი მარტყოფიც, რომლის სახელწოდებაც „მარტოდმყოფელიდან“ წარმოიშვა.** უფლის შენევნით, ღვთაება არა მარტო სასულიერო, არამედ ზოგჯერ საერო ფუნქციასაც ასრულებდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში. 1265 წელს, როდესაც მონღოლებმა რუსთავი მოაოხრეს, სარუსთველო სადროშომ ღვთაების სამონასტრო კომპლექსში გადაინაცვლა. როგორც სალაშქრო დანიშნულების სიმბოლო, მშვიდობიანობის დროსაც იგი ღვთაებაში ინახებოდა. დროის მცველთა პატივი ნორიოელ ჭიჭინაძეებს ჰქონდათ დაკისრებული, რომელიც მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე.

რაც შეეხება მამა ანტონის მიერ ქალაქ ედესიდან ჩამობრძანებულ მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს, რომელიც წმიდა მამას სულ თან დაჰქონდა, 545 წლიდან 1394 წლამდე ინახებოდა ღვთაების მონასტერში. როდესაც თემურ-ლენგმა მონასტერი დაარბია, რუსთველმა ეპისკოპოსმა - მეუფე გიორგიმ ხატი გადამალა, რათა ურჯულოებს არ ჩავარდნოდათ ხელში. გიორგი რუსთველი ისე მოკლეს მომხდურებმა, რომ ვერ მოასწრო ეთქვა ბერებისთვის გადამალული ხატის ადგილი. დღემდე უცნობია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ადგილსამყოფელი, თუმცა მისგან დავანებულმა მადლმა მონასტერს და მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობას წყალობა არ მოაკლო. თვით სისხლისმსმელი ნადირ შაჰიც



კი განაცვიფრა მონასტრის სიდიადემ და მან ღვთაებას შესწირა 200 თუმანი (მაშინდელი კურსით 2 ათასი ვერცხლის მანეთი) და 200 ცალი აღმოსავლური ძვირფასი თვალი...

ნორიოელები კი განაგრძობდნენ ქრისტეს გზით სიარულს და საუკუნეების მანძილზე, ღმერთის სადიდებლად, უამრავ ეკლესიებს აშენებდნენ. აი, ეს ტაძრებიც: ღვთაების სამონასტრო კომპლექსი, ხარაზაულის წმიდა გიორგი, ყოვლადწმიდა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია, მამადაანთ წმიდა გიორგი ანუ ჭინჭარაული, ტაბლიაანთ საგვარეულო სალოცავი - ღვთისმშობლის ეკლესია, გორიჯვარი, თელეთის სახე, აბრამაანთ და მამნიანთ წმიდა გიორგი, ტაკაანთ წმიდა გიორგი, მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია, მისალოცი, იოანე ნათლისმცემლის ეკლესია - ნორიოს რელიგიური ცენტრი, მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელობის ეკლესია, ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, ღვთისმშობლის ეკლესია - „სომხის საყდარი“, ქუჩისერის წმიდა გიორგი, კუზმას საყდარი, დანგრეული (დაქცეული) საყდარი - წმიდა გიორგი, ჯვარა, წმიდა ნინოს სახე, კვირია და შვინდაძის წმიდა გიორგი, წმიდა ბარბარეს სახე და კვირაცხოველი.

**სწორედ კვირაცხოვლის ეკლესიის შესახებ გვექნება საუბარი, რომელიც მდებარეობს ნორიოს ზემო უბანში და რომელიც აღადგინა და გაამშვენა ნორიოს მკვიდრმა, ღირსეულმა ქართველმა, ქველმოქმედმა და მეცენატმა ბატონმა გელა ძიძიკაშვილმა.**

სანამ ბატონი გელას ძალისხმევით დაიწყებოდა ეს გრანდიოზული მამულიშვილური საქმე, მანამდე აქ, კვირაცხოვლის ნაეკლესიარის ადგილზე, გვიანი შუასაუკუნეების დაშენებული ნიში იდგა და დასავლეთით, ხუთიოდე მეტრში, მიწაში განთავსებული იყო ქვევრები, რომლის ასაკი ჩვენი წელთაღრიცხვით მეშვიდე საუკუნით თარიღდება და რომელსაც ძველ დროს მოსახლეობა ალბათ ზედაშეს ჩასასხმელად იყენებდა.

ბატონმა გელამ ზედმიწევნით კარგად იცის თავისი მშობლიური მხარის ისტორია და ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულება გამოიჩინა ამ ისტორიულ-რელიგიური სიწმიდის მიმართ. მისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ჯერ კიდევ საქართველოს გაქრისტიანებამდე კუხეთის და განსაკუთრებით სოფელ ნორიოს მიწა-წყალი მჭიდროდ დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა და არ იყო გამორიცხული, რომ აქაც რაიმე ისტორიული საიდუმლო ყოფილიყო დამარხული. ვარაუდი გამართლდა და ტაძრის საძირკვლის გათხრისას აღმოჩნდა ორი სამარხი. ერთი მათგანი ქვასამარხია, ხოლო მეორე ორმო, სადაც ნაპოვნი იქნა ადამიანის ძვლები. პროფესორ ვლ. ასლანიშვილის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღმოჩენილია ორი მამაკაცის გვამი. ერთი მამაკაცის ასაკი განისაზღვრა 50-54 (52) წლით, ხოლო მეორის - 20-24 (22) წლით. ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი იქნა ბრინჯაოს სამაჯური, რომლის ასაკი, ბრინჯაოს ხანის სპეციალისტის, არქეოლოგ გიორგი გოგოჭურის ვარაუდით, გვიანი ბრინჯაო-რკინის ხანით, კერძოდ კი ძვ. წ. II ათ. წლ. დასასრული - ძვ. წ. I ათ. წლ. პირველი მეოთხედით თარიღდება.

ბატონმა გელამ, უდიდესი ყურადღება და გულისხმიერება გამოიჩინა ამ აღმოჩენის მიმართ და საქართველოს საპატრიარქოსთან შეთანხმებით, ძვლოვანი ნაშთები და ნივთები გამოსაკვლევად გადაუგზავნა შესაბამის უწყებას და ამ ქმედებით კიდევ ერთი ისტორიული აღმოჩენა აჩუქა საქართველოს და, რა თქმა უნდა, თავის მშობლიურ სოფელ ნორიოს. ამ დიდებული საქმის დასტურად წარმოგიდგენთ ნორიოს სამარხების ანთროპოლოგიურ გამოკვლევას:

## ვლ. ასლანიშვილი

ანთროპოლოგ-პათოლოგი, ი.მ.დ. პროფესორი

### ნორიოს სამარხების ანთროპოლოგიური გამოკვლევა

ჩემს ხელთაა ორი კაცის ძვლოვანი ნაშთები მოპოვებული 2021 წლის აპრილის დასაწყისში გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ნორიოდან, სადაც მიმდინარეობს ტაძრის მშენებლობა, რომლის საძირკვლის გათხრისას აღმოჩნდა 2 სამარხი, მათგან ერთი ქვასამარხია, ხოლო მეორე ორმო. ძვლოვანი ნაშთები ამ 2 სამარხიდან მომანოდა საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელმა მაია მუხიაშვილმა. ნაშთები უაღრესად ცუდ მდგომარეობაშია - დაღეწილია და აკლია ძვლების 80-90% (ფოტო 1; 2), ხოლო თვით ძვლების დაცულობა საკმაოდ კარგია, როგორცა ჩანს გამთხრელებს ფეხით დაუღეწიათ და დიდი ნაწილი გადაუყრიათ.



1.



2.

მაქსიმალურად ვეცადე ამ ნაშთებიდან რაიმე აღმედგინა. ცდამ ნაყოფი გამოიღო (ფ. 3; 4). ძვლოვანი ნაშთები გავრეცხე, გავაშრე, აღვადგინე; კრანეომეტრულად შევისწავლე; დავადგინე სქესი, ასაკი, სიმაღლე და წონა; განვსაზღვრე პათოლოგიები; გარდაცვალების სავარაუდო მიზეზი. მოვახდინე ერთი 50-54 (52) წლის კაცის სახის რეკონსტრუქცია. ხოლო მეორე 20-24 (22) წლისაა, მაგრამ სახის ძვლები არა აქვს.



3.



4.



**კაცი (კ) 50-54 წლისა** (საშუალო ასაკი 52): მალალი - სიმალლის დასადგენად გასაზომი ძვლების რაოდენობა სრულიად საკმარისია (**ცხრილი 1**). თავის ქალა ასიმეტრიულია,

ცხრილი-Tab. 1

ზომის დასახელება		ზომა, სმ	კოეფიციენტი	სიმალლე, სმ
ქალას გრძივი დიამეტრი	Продоль, диам, черепа	172	10.6	162.3
ქალას განივი დიამეტრი	Попереч, диам. черепа	139	8.5	163.5
ქალას გარშემოწერილობა	Окружность „	520	31.3	166.1
ბარძაყის ძვალი, მარჯვენა	Бедренная кость, пр,	47.9	26.9	172.3
წვივის დიდი ძვალი „---„	Больш,берц, „--- ---„	40.4	21.7	182.8
„-----„ მარცხენა	„-----„-----„ лев,	40.3	21.7	182.3
წვივის მცირე ძვალი	Малая берц, „---- ---„	39.2	21.6	178.2
ლავიწის ძვალი მარცხ.	Ключица лев,	15.5	8.3	176.1
„-----„ მარჯვ.	„-----„ пр,	15.8	8.3	179.5
მხრის ძვალი	Плечевая кость	≈ 33.3	19.4	168.2
იდაყვის ძვალი	Локтевая „--„	27.7	15.5	169.9
სხივის ძვალი	Лучевая „--„	26.4	14.2	174.8
ჯამი-всего:		12 ზომას	-	2076
<b>საშუალო სიმალლე-средний рост:</b>				<b>173.0 სმ.სმ,</b>
<b>საშუალო წონა-средний вес:</b>				<b>67.25 კგ.კტ,</b>

მარჯვენა მხარე მიღრეცილია მარცხნივ (ფ.5). აკლია: შუბლის ძვლის თვალ-ბუდის, კეფისა და ფუძის ნაწილები, ქვედა ყბის უკანა სასახსრე მორჩები (ფ.6,7). თავის ქალა ბრაქიკრანულია (მოკლე); შუბლი დახრილია; წარბზედა რკალები საშუალოდაა გამოხატული; სახე მაღალი, ძალიან ვიწრო და სოლისებურია (პალეოლითური); საშუალო სიმადლისა და დაბალი თვალბუდეები; ცხვირი ვიწრო და ძალიან მაღალი, ძალიან მაღალი უნაგირით და ძალიან გრძელი ცხვირის ნვეტით და სხვ. (ცხრილი 2)



5.




6.



7.

„ძვლოვანი“ ანთროპოლოგიური (კრანოლოგიური) ტიპია: SCPGeo - სამხრეთ კავკასიური პალეოლითურ ქართული. აი, მისი აღდგენილი სახე:



ნიშნები	Marker (Martin №№)	?	Category (Debetz; Aslanishvili)
		♂ DIMENSIONS	
ასაკი	AGE	50-54	-
სხეულის სიმაღლე	STATURE	173	5
სხეულის წონა	Weight		-
ქალას გრძივი დიამეტრი	1	172	2
ქალას განივი დიამეტრი	8	139	3
ქალას მაჩვენებელი („ინდექსი“)	8:1	80.8	4
ქალას გარშემოწერილობა	≈ 520	520	3
შუბლის ქორდა	29	115	4
შუბლის რკალი	26	127	3
შუბლის უდიდესი სიგანე	9	120	3
შუბლის მაჩვენებელი	29:26	90.5	4
თხემის ქორდა	30	112	3
თხემის რკალი	27	124	3
თხემის ნადრეკის მაჩვენებელი	30:27	90.3	3
ზიგო-მაქსილარული კუთხე	ZM <sup>0</sup>	114.0	0
სიმოტური სიმაღლე	SS	6.2	5
სიმოტური მაჩვენებელი	SS:SC	68.9	5
ცხვირის სიგანე	54	23	2
ცხვირის სიმაღლე	55	57	5
ცხვირის მაჩვენებელი	54:55	40.3	1
ცხვირის ძვლების სიგრძე	56	30	-
თვალბუდის სიგანე mf-დან	51	40	2
თვალბუდის სიმაღლე	52	34	3
თვალბუდის მაჩვენებელი mf-დან	52:51	85.0	4
სახის ზედა სიმაღლე	48	73	3
სახის სრული სიმაღლე	47	123	4
სახის სიგანე (ყვრიმალთაშუა დიამეტრი)	45	124	1
სახის მაჩვენებელი	48:45	58.9	5
ემვის ფოსოს სიღრმე	FC	2.8	1



კბილბუდის რკალის სიგრძე	60	60.0	5
კბილბუდის რკალის სიგანე	61	61.0	2
კბილბუდის მაჩვენებელი	61:60	101.7	1
სასის სიგრძე	62	44	1
სასის სიგანე	63	35	1
სასის მაჩვენებელი	63:62	79.5	3

ეს ანთროპოლოგიური ტიპი უახლოეს მსგავსებას ამჟღავნებს და კარგად ჯდება საქართველოს მთის, მთისწინა ზოლისა და ბარის მოსახლეობის ანთროპოლოგიურ ტიპებთან.

თავის ქალა და ზოგადად მთელი ჩონჩხი მნიშვნელოვანი პათოლოგიური ცვლილებებითაა, რაც გამხდარა ამ კაცის დაღუპვის მიზეზი.

თავის ქალაზე: **შუბლისა და თხემის ძვლებზე** შიდა მხრიდან მათი შეერთების ადგილზე და უფრო წინ მიელომური (რუსტიცკის დაავადება) ფოსოებია, მათგან შუბლის ძვალზე ფოსოები მცირე ზომისაა (**ფ.8**), ხოლო თხემის მარცხენა ძვალზე ბევრად დიდია და ორ განყოფილებიანია (**ფ.9**). თხემის მარჯვენა ძვლის შუა მიდამოზე - შიდა სატვინე ზედაპირზე და გარედან, ოვალური ფორმის ლაქაა (**ფ.10**), აქ უნდა მჯდარიყო „უკუჩრები“ , ამ ლაქის მთელი ფართობი გარედან ხორკლიანია.



8.



9.



10.

**კეფის ძვლის შუა მიდამოში** - ნადრეკზე და მის ქვემოთ რამდენიმე კოპიჭია. **დვრილისებრი** მორჩების ძირები დაბერილია. **ზედა ყბაზე** აკლია 2 კბილი, ყოველ შემთხვევაში აქ ორი კბილბუდის კვალია. შემორჩენილია 4 კბილი - მარცხენა ეშვი და მეორე პრემოლარი ( $PM_2$ ); მარჯვენა ფესვამდე გაცვეთილი ეშვი და პირველი მოლარი ( $M_1$ ). ზედა ყბის დანარჩენი კბილები სიცოცხლეშია დაკარგული, ხოლო კბილბუდეები ზოგი სრულად, ზოგი კი ნაწილობრივია ატროფირებული. ორივე ეშვის ფესვები გამოსჭვივის ზედა ყბაში (**ფ.11**), მარჯვენა ეშვი კბილბუდის პირამდეა გაცვეთილი. **ქვედაყბაზე** შერჩენილია 5 კბილი. ხოლო 6 კბილი ექსგუმირების შემდეგაა დაკარგული, დანარჩენი კბილბუდეები სიცოცხლეშივეა ატროფირებული (**ფ.12,13**). მარცხენა 3-ის ე.წ. საღეჭ ზედაპირზე კარიესული ორმოა (**ფ.14**). ზოგადად პირის ღრუ სიცოცხლეში საშინელ მდგომარეობაში ჰქონია. მარჯვენა ეშვის ფოსოსთან ჩამოღრმავებაა ზომით 16x8 მმ. (**ფ.15**), რაც შესაძლოა სიცოცხლეში ჩატარებული ქირურგიული მანიპულაცია ან მიყენებული ზეწოლა-ჭრილობის ნაკვალევია.




11.



12.



13.



14.



15.

**ჩონჩხის** დანარჩენი ძვლები: **ხერხემალი** - მალეები ოსტეოქონდროზული წანაზარდები-  
თაა, განსაკუთრებით გულმკერდისა და წელის მალეებზე (ფ.16-19).



16.



17.



18.



19.

**მენჯი:** ძვლების კრებული (გავის, კუდუსუნისა და საჯდომი ანუ თედოს ძვლები), თედოს ძვლების შეერთების ადგილას წარმოიქმნება კუთხე, რომლითაც 100% განისაზღვრება სქესი. მამაკაცის კუთხე მახვილია, ხოლო დედაკაცისა - ბლაგვი (**ფ.20**). რაც შეეხება კუდუსუნის ძვალს (**ფ.21**), ის ძალზე პატარაა და იშვიათად ნარჩუნდება. თედოს ძვლებზე მოთავსებულია ტაბუხის ბუდეები, რომლებშიც მოძრავადაა ჩასმული ბარძაყის ძვლის ბურთულისებრი გლუვი თავები. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ბარძაყის ერთი მარჯვენა სრული, მთელი ძვალი გვაქვს, მეორე დამტვრეულია და წარმოდგენილია მხოლოდ სამუხლე ბოლოთი და ბარძაყის თავით. მარჯვენა ძვლის თავი სოკოსებურია და წანაზარდებითაა (**ფ.22,23**), შესაბამისადაა ტაბუხის ბუდეც - ხორკლიანი და მსხვილი წანაზარდებითაა (**ფ.24**), სამუხლე ბოლოც დაზიანებულია (**ფ.25**). ჩანს კაცი ხეიბარი ყოფილა და მარჯვენა ფეხით კოჭლობდა.



20.



21.



22.



23.



24.



25.

**კვირისტავი** - მუხლის დამცავი ძვალი. რიგით მოკვდავთა კვირისტავი გლუვია, ხოლო სასულიერო პირთა და მათი, ვინც აქტიურადაა ჩართული რიტუალებში, ასევე სამთამადნო საქმეებში ჩართული პირები, რომლებიც დაჩოქილ-წახრილები მუშაობენ უხეშ და ცივ ზედაპირებზე - დაღარული, უხეში და წანაზარდებითაა (**ფ.26**). **ტერფის** ზოგიერთი ძვალი დაზიანებულია - წანაზარდებითაა (**ფ.27,28**). ფეხის თითები - დაკოჭრებული და წანაზარდებითაა (**ფ.29-32**).





26.



27.



28.



29.



30.



31.



32.

**ახალგაზრდა კაცი 20-24 (22) წლისა. თავის ქალადან** შემორჩენილია მხოლოდ ნაკლები შუბლის, წყვილი ყვრიმალის, ცხვირის ძვლის ნახევარი, წყვილი საფეთქლის, თხემის ძვლის პათოლოგიური ფრაგმენტი და ქვედაყბის ფრაგმენტები - 6 კბილით (ფ.33-36). ამ ძვლების დაცულობა საუკეთესოა, მაგრამ აღდგენა არ ხერხდება. ჩონჩხის დანარჩენი ძვლები მინიმალური რაოდენობითაა (ფ.37).



33.



34.



35.



36.



37.

**პათოლოგიური ფონი:** შუბლის ძვლის სატვინე ზედაპირი მოცულია მიელომური ფოსოებით (ფ.38). თხემის ძვლის ფრაგმენტის ორივე ზედაპირი სულ მთლად დახორკლილი და ღრმულებითაა (ფ.39,40). როგორც ჩანს ახალგაზრდას სიმსივნე ჰქონია და მით არის დაღუპული, ხოლო მიზეზი ინფიცირებული ნაჭრილობებია მარჯვენა



38.



39.



40.

მხრის ძვლის საიდაყვე ბოლოზე (ფ.41). ნაჭრილობები შეხორცებულია, მისი გვერდითა მარცხენა მიდამო კი შებერილი და ხორკლიანია, მასში მიმდინარე პროცესის გამო. ამავე ძვლის დიაფიზზე, ზედა სასახსრე ბოლოსკენ კიდევაა 2 ნაჭრილობების ნაკვალევი ნაგრძელებული ნაჭდეგების სახით (ფ.42).



41.



42.

აი, ასეთი სურათი მივიღე ამ ორი კაცის ძვლოვანი ნაშთების გამოკვლევის შედეგად. არადა, ბევრად მეტი ინფორმაციის მიღება იყო შესაძლებელი, ძვლები რომ სრულად ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, თავის ქალები და ლულოვანი ძვლები.



\* \* \*

ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯური (ფ.43,44). მე დავუკავშირდი არქეოლოგებს და მივიღე ასეთი პასუხი: ბრინჯაოს ხანის სპეციალისტის, არქეოლოგ გიორგი გოგოჭურის ვარაუდით სამაჯურის ასაკი განისაზღვრება გვიან ბრინჯაო-რკინის ხანით, კერძოდ კი ძვ.წ. II ათ.წლ. დასასრული - ძვ.წ. I ათ.წლ. პირველი მეოთხედი.



43.



44.



45.

ამავე სამარხში აღმოჩნდა კიდევ ერთი ნივთი. ჩემი ვარაუდით შურდულის ქვა უნდა იყოს (ფ.45).

21.04.2021

\* \* \*

**ბატონმა გელამ ამ აღმოჩენით კიდევ ერთხელ დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ ღირსი ანტონ მარტოდმყოფელის მობრძანებამდე, აქ არსებობდა სოფელი, სადაც დულდა ცხოვრება და რომელსაც შემდგომ წმიდანის მასპინძლის საპატივცემულოდ ეწოდა - ნორიო.**

სამარხების გასუფთავებისა და მოწესრიგების შემდეგ, დაიწყო წმიდა თომა მოციქულის სახელობის ტაძრის (კვირაცხოველი) მშენებლობა, რომელიც არნახული ტემპით განვითარდა.

ბატონმა გელამ კარგად იცის, რომ კვირაცხოველობა აღდგომის განახლებად ნოდებული დღესასწაულია და პირდაპირ კავშირშია ღვთაების მონასტერთან. როგორც სახარება გვასწავლის, ურწმუნო თომამ არ დაუჯერა მოციქულებს ქრისტეს გამოცხადება და თქვა: „... უკეთუ არა ვიხილო ხელთა მისთა სახე იგი სამშუალთაი და დავსხნე თითნი ჩემნი ადგილსა მას სამშუალთასა და დავსდვა ხელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს“ (იოანე 20. 25). როდესაც რვა დღის შემდეგ მაცხოვარი კვლავ გამოეცხადა მონაფეებს და იქ მყოფი თომა დარწმუნდა ღვთის განგებულებაში, მიეახლა უფალს და თქვა: „... უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ (იოანე. 20. 28). ეს სიტყვები იგალობებოდა ტაძრის გახსნის დღესასწაულზე 2021 წლის 18 ივლისს. ეკლესიის განახლებამ ქრისტეს აღდგომის სიყვარულით აღავსო ნორიოელები და წმიდა მამა ანტონის ნაკურთხმა სოფელმა ბატონი გელას ღვთისმოსაობით და ქველმოქმედებით კიდევ ერთხელ ადიდა უფალი.

საეკლესიო გადმოცემით, როგორც კვირაცხოველობა არის აღდგომის განახლების დღესასწაული, ასევე მისი აღმდგენელი და გამამშვენებელი - ბატონი გელა ძიძიკაშვილი

გახლავთ თხუთმეტი საუკუნის წინ სოფლის მამასახლისის - ნორიოს საქმის გამგრძელებელი და განმაახლებელი.

კვირაცხოვლის ეკლესიის აღდგენამ სოფელ ნორიოში და არა მარტო იქ, საერთო სახალხო სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია. უამრავმა ადამიანმა გამოხატა მადლიერება ბატონი გელას მისამართით. ვინაიდან შეუძლებელია ყველა კომენტარის გამოქვეყნება, გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:



**გელა კიიკიაშვილი  
პარმონაზონ იერამიასთან  
(ლომიძე) ერთად**

მოთქვამს და აღნიშნავს, რომ ქტიტორი ყოველთვის ითვალისწინებდა ხუროთმოძღვრის, ან განსვენებული ბატონი რეზო ჯანაშიას აზრს, ასევე ეპარქიის მმართველ მეუფე იოანეს (შომახია) შეხედულებას.

**ბერი ირემია ლომიძე:** 1993 წლის მოვლენების შემდეგ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია, რომელსაც იმ დროს მეუფე დანიელი (დათუაშვილი) ხელმძღვანელობდა, განთავსდა ღვთაების ანტონ მესვეტის სახელობის საპატრიარქო რეზიდენციაში. მიუხედავად მძიმე მატერიალური მდგომარეობისა, იყვნენ ადამიანები, რომლებიც მნიშვნელოვან დახმარებას გვინევდნენ, მათ შორის მინდა გამოვყო ბატონი გელა კიიკიაშვილი, რომელმაც მოახერხა დაგვხმარებოდა ტაძრის გამაგრება-რესტავრაციის საქმეში. გამაგრდა გვირაბი, რომელიც დახურული იყო ავარიული მდგომარეობის გამო და მისი დანგრევა ტაძრის მნიშვნელოვან დაზიანებას გამოიწვევდა. შემდეგ ეტაპზე შეილესა ტაძარი, დაიგო ქვის იატაკი, გაკეთდა კანკელი. ეს ყველაფერი იმ მძიმე წლების დროს მოხერხდა ბატონი გელას ძალისხმევით. მაშინ დაიბადა აზრი კვირაცხოვლის ეკლესიის აღდგენა მშენებლობაზე, რაც 25 წლის შემდეგ ბატონი გელას ქტიტორობით ბრწყინვალე ტაძრის აშენებით დაგვირგვინდა. ასევე აშენდა სამრეკლო და ორსართულიანი საცხოვრისი. მუშაობის პროცესში აღმოჩნდა ქრისტეს შობამდე II-I საუკუნეების უძველესი არტეფაქტები, რომლებიც მუზეუმში ინახება. ტაძრის მშენებლობა 2019 წელს დაიწყო და 2021 წელს დასრულდა. მშენებლობის პროცესში სულიერად იყო ჩართული სოფლის მოძღვარი დეკანოზი კახა უერთაშვილი, რეგულარულად ატარებდა პარაკლისებს. ის მადლიერებას გამოთქვამს და აღნიშნავს, რომ ქტიტორი ყოველთვის ითვალისწინებდა ხუროთმოძღვრის, ან განსვენებული ბატონი რეზო ჯანაშიას აზრს, ასევე ეპარქიის მმართველ მეუფე იოანეს (შომახია) შეხედულებას.

2021 წლის 18 ივლისს, მეუფე იოანემ და დეკანოზმა კახა უერთაშვილმა სხვა სამღვდელთაგან ერთად აკურთხა ტაძარი წმიდა მოციქულ თომას სახელზე, რის შემდეგაც გაიმართა საზეიმო ტრაპეზი სოფლის მცხოვრებთა და მონვეული სტუმრების საპატივსაცემად. ამ ტრაპეზის მასპინძელი წმიდა მოციქულ თომას ტაძრის ქტიტორი გახლდათ.

ეს მოკლე მოგონება თაობებს შემორჩება. ღმერთმა დალოცოს გელა ძიძიკაშვილის ოჯახი, მისი მეუღლე, კეთილშობილი ქალბატონი ალა და მათი შვილები დავითი და ოთარი თავიანთი ოჯახებით, მათი შვილიშვილები: მარიამი, ნიკოლოზი და ანასტასია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი გელას მშობლები: ბატონი ოთარი და ქალბატონი ეფემია.

**თეიმურაზ ლანჩავა (ქუთაისი. საქართველოს სახალხო პოეტი. მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი):**

აქვს შესაშური თვისებები.

რწმენითა და ოპტიმისტური ხედვით ამთლიანებს წარსულს და მომავალს. განსაკუთრებულ პატივს მიაგებს მშობლიურს.

ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს საქმეში, ღირსებას რომ ემსახურება.

სხვასაც გადასდებს სურვილს, იყოს სამაგალითო და მისაბაძი.

ცდილობს, არ ჩამორჩეს დროს, პირიქით...

როცა უკან მოხედვისა და შექმნილის შეფასების ჟამი დგება, აქაც პირველობს. პირუთვნელია, გამორჩეული და სამაგალითო.

მოვალეობად თვლის, პატივი მიაგოს წარსულს. ღირსეულად ემსახუროს დღევანდელობას. ხელი შეაშველოს გაჭირვებულს. მხარი დაუჭიროს პროგრესულს, საკუთარი წვლილი შეიტანოს სულიერების მშვენიერებით წარმოსახვაში.

აგებს ტაძრებს, ეკლესიებს, ცისკენ გაქცეული მზერით ღმერთს ევედრება, უკეთ იყოს მისი საქართველო.

ბუნებით აღმშენებელი კაცია, მნიშვნელოვან საქმეთა თანამონაწილე, სამაგალითო სხვებისათვის. თუ რამ გასცა, კი არ ყვირის, აჩუმათებს და მის სულიერებას სიჩუმიტაც ახმოვანებს.

არის სამაგალითო მეგობარი. იხარჯება სიტბოდ და სიტბოშივე ეძებს ადამიანურ მშვენიერებას.

როცა მასზე ვფიქრობდი და ვწერდი გენიალური პოეტის ვაჟა ფშაველას სტრიქონები ამეკვიცა:

„ალუდა ქეთელაური  
კაცია დავლათიანი,  
საფიხვნოს თავში დაჯდების,  
სიტყვა მაუდის მზიანი;  
ბევრ ქისტს მათაჟრა მარჯვენა,  
სცადა ფრანგული ფხიანი,  
ცუდას რად უნდა მტერობა,  
კარგია მუდამ მტრიანი.“



ბატონი გელა ძიძიკაშვილი რამოდენიმე წელია, რაც მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის წევრად აირჩიეს. იგი ამავე აკადემიის სახელოვნებო და სამეცნიერო გაზეთ „უქიმერიონის“ რედკოლეგიის წევრია.

დროის მცირე მონაკვეთში მან შესძლო, როგორც ქველმოქმედმა, დაგვხმარებოდა, ჟურნალ „მერმისის“ რამოდენიმე ნომერი გამოგვეცა.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და „ოქროს ფონდის“ მიერ ბატონ გელას ქართული კულტურის რაინდის ნოდება მიენიჭა.

მშობლიურ სოფელ ნორიოში მის მიერ აგებული კვირაცხოვლის ტაძარი ნიმუშია მისი, როგორც ქველმოქმედის დამსახურების, სულიერებას რომ მიაგებს პატივს.

ბატონი გელა ღირსების ორდენის კავალერია და მისი ქვეყნის გამორჩეული მოქალაქე.

„აშენებს ტაძარს,  
სანთელს უნთებს ღმერთსა და რწმენას,  
ზეციურს ბაძავს,  
ებრძვის ტკივილს და ბედისწერას.  
აქვს მაღლი უხვი მისგან შექმნილ  
ღვთიურ ღირსებებს,  
მის საუფლოში მაღლი ხარობს,  
ღმერთი ისვენებს.  
გასცემს სიკეთეს  
და საფასურს არასდროს ითხოვს,  
რასაც აკეთებს უკარნახა უფალმა თითქოს“.

ეს სტრიქონები ჩემი ლექსიდანაა, მას რომ მივუძღვენი და მალე ახალ წიგნში ჩასახ-  
ლდება.

ისეთი დროა, თუ ადამიანი მოინდომებს, ბევრ სურვილს შეისრულებს, იშოვის ფულს, იყიდის სავარძელს, იცხოვრებს რომელ ქვეყანაშიც უნდა, მაგრამ არსებობს ერთი რამ, რაც ყველაზე ძვირად ფასობს და არ იყიდება - ესაა ერთგულება.

ერთგულების გამოგონება არ შეიძლება.

გელა ძიძიკაშვილი ქვეყნის, ოჯახის და საძმოს ერთგული კაცია.

**მალხაზ სალაყაია (იურისტი, ადამიანთა უფლებადამცველი. გელა ძიძიკაშვილის მძახ-  
ალი):** საქართველო: ქვემო ქართლი - გარდაბნის მუნიციპალიტეტი - ნორიო, კულტურული ძეგლებით: ღვთაების სამონასტრო კომპლექსით, ხარაზაულის წმინდა გიორგის, ყოვლად-  
წმიდა მარიამ ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლის, ღვთისმშობლის მიძინებისა და სხვა მრავალი ეკლესიებით. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია კვირაცხოვლის აღორ-  
ძინებული ეკლესია, რომელიც 2021 წელს ნორიოს ღირსეულმა და ერთ-ერთი დიდი გვარის შვილმა გელა ძიძიკაშვილმა ააშენა!

ულამაზესი ნაგებობა უფლის ლოცვით, უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სახელითა უფლისათა „ეკლესია ესე კვირაცხოვლი-  
საი სადიდებლად ღვთისა და მოსახსენიებლად მისა ოჯახისა მისისა ორსა სოფელსა შინა“-  
სახლეულისა, რომელიც ჩემი (მალხაზ სალაყაიას) ოჯახის ნაწილია - როგორც ჩვენი საერ-  
თო შვილიშვილების: მარიამ-სესილისა და ნიკოლას ძიძიკაშვილების სიყვარულის ნიშნად.

მადლობა მადლიან ქართველ მამულიშვილს გელა ძიძიკაშვილს და მის უსათნოეს მეუღლეს ქალბატონ ალა ფორჩხიძეს.

ოცდამეერთე საუკუნის კვირაცხოვლის სახელობის ეს ულამაზესი კომპლექსი - ქმნილება სანყისია იმ თაობისთვის, რომელზედაც ასევე მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გზაზე ამაყად და ღირსეულად დადის ძიძიკაშვილების გვარის თითოეული წარმომადგენელი. იარონ, იარონ, იარონ, ამინ!

**თამაზ სეფერთელაძე (ანსამბლ „ცისფერი ტრიოს“ დამფუძნებელი):** ტაძარი ღვთის სახლია და იქ სიყვარული სუფევს. ყოველი აღმშენებელი პატიოსნისა ამის ტაძრისა, იხმობს მრევლს სიყვარულისათვის უფლის სამყოფელში - კირიაკონში. ეს უდიდესი გამოწვევა და გმირობაა, იგი დალოცვილია უფლისაგან და მადლიერი, მოსალოცად მოხმობილი მრევლისაგან. თავად მაცხოვარი ბრძანებს: „რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათე 18. 20). დაე, არ მოგვიშალოს გამჩენმა მასთან სიახლოვის სიხარული და ვმადლობდეთ შემოქმედს ამგვარი შესაძლებლობისთვის და ასევე პატივისცემა და მადლიერება გამოვხატოთ პირადად გელა ძიძიკაშვილის მიმართ, ვინც ითავა ამ უმშვენიერესი ქმნილების აგება.

**ბეჟან ახვლედიანი (ქუთაისის მკვიდრი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე):** დიდი და განუზომელია ჩვენი მეგობრის - ბატონი გელა ძიძიკაშვილის ნვლილი, როგორც სახელმწიფო, ასევე საქველმოქმედო საქმიანობაში. იგი მონოდებულისა აღმშენებლობისთვის და ახალგაზრდობიდან შემოქმედებითად უდგებოდა ყველა სასიკეთო საქმეს. ბატონი გელა ახლაც წარმატებით განაგრძობს საქმიანობას სახელმწიფო სამსახურში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი გელას ღვაწლი ქველმოქმედებაში. წლების განმავლობაში ამ კუთხით უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული, ხოლო ამ საქმიანობის გვირგვინს წარმოადგენს მის მშობლიურ სოფელ ნორიოში კვირაცხოვლის ტაძრის აღდგენა და აშენება. პირადად მოხიბლული დავრჩი მაღალ დონეზე აშენებული ტაძრის კომპლექსის ხილვით, რაც დიდი საჩუქარია ქართველი ხალხისთვის.

ბატონი გელა ძიძიკაშვილი გულისხმიერი ქართველი ვაჟკაცი და ქვეყნის დიდი პატრიოტია. მისი საქმიანობა ღვთის სადიდებლად და სამშობლოს საკეთილდღეოდ არის მიმართული.

მადლობა ბატონ გელას გარჯისთვის და ღმერთმა უმრავლოს ჩვენს სამშობლოს ასეთი მამულიშვილები.

**შორენა ტალიკიშვილი (სოფ. ნორიოს მკვიდრი):** ჩვენს ცნობიერებაში ღვთიური და ადამიანური მაშინ გაიმიჯნა, როცა ადამიანთა შორის ბოროტება ჩამოწვა და როცა შურმა კაენის ხელით აბელისკენ განვდილი დანა სამსხვერპლოზე მიიტანა. საუკუნეების მანძილზე ვეძებთ სიკეთის მარცვალს, მადლიანთა რიგებში ამ მარცვლის მთესველს, რომელთა დილაც საკუთარ თავთან მონოლოგით იწყება - თუ სად დათესა სარგო მარცვალი, შრომის შედეგად თვითკმაყოფილების ნაცვლად რა დაუტოვა შთამომავლობას ან რა ადგილი ეჭირა მის ცხოვრებაში სამ ღვთაებრივ საუნჯეს მამულის, ენისა და სარწმუნოების სადარაჯოზე. დიახ, მე ვიცნობ ადამიანს, რომლის ცხოვრებაშიც ეს სამი განუყოფელი მრწამსი მისი ცხ-

ოვრების „მამაო ჩვენო“ გახდა და ხალხის წილ გაღებული შრომა კი საზიარებელ, წმიდა ადგილად იქცა.

ბედნიერი ვარ, რომ ვიცნობ ბატონ გელა ძიძიკაშვილს, ილია ჭავჭავაძის კვალზე მდგარ, უაღრესად განათლებულ და თავმდაბალ პიროვნებას, რომელიც მუდმივად ქველმოქმედების ფერხულში გახლავთ ჩართული.

განუული შრომის გვირგვინად ააგო კვირაცხოვლის სახელობის ტაძარი, რომელმაც სოფელ ნორიოს გული დაამშვენა და ჩვენი ლოცვის ნავსაყუდელად გადაიქცა. როგორც სვეტიცხოველი ამშვენებს მცხეთას დიდი ისტორიით, ჩვენი ტაძარიც მუდმივად იტყვის თავის სათქმელს მომავალ თაობაში. ჰპოვებს რწმენას, კუთვნილ ისტორიას და სიყვარულს ადამიანთა შორის.

**მარიამ გარაშვილი (სოფელ სართიჭალის N2 საჯარო სკოლის დირექტორი):** ყველა ადამიანი, როდესაც ცხოვრების აღმა თუ დაღმა ხნულებს გადააბიჯებს, ყოველთვის გადაჰხედავს საკუთარ განვლილ გზას და ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ ეს გზა ეტაპებად შეიძლება დაიყოს. არის ეტაპი ბავშვობისა - თავისი აღმა-დაღმა ხნულებით, არის ეტაპი მჩქეფარე, შფოთიანი ახალგაზრდობისა, თავისი უფრო მკვეთრი აღმა-დაღმა ხნულებითა, არის ეტაპი უკვე დადინჯებული, ცხოვრების გამოცდილებით მიღებული შეგნებული ცხოვრებისა და ვისაც გაგვიმართლებს, კიდევ რჩება ერთი ეტაპი, რომელზეც მე ჯერ ჩემი მესამე ეტაპში ყოფნისა გამო, ვერაფერს გეტყვით, თუმცა ვარაუდები კი გამაჩნია ...

ახლა კი ჩემი ცხოვრების მეორე ეტაპზე, მისგან დამჩნეულ კვალზე მინდა გითხრათ ორიოდ სიტყვა.

როგორც აღვნიშნე, ეს ეტაპი ადამიანის ცხოვრებაში ის ეტაპია, როცა სისხლი, გონება, აზრები დულს და გადადულს. როცა გგონია, რომ შენ შეგიძლია ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალო და იბრძვი. იბრძვი ყველა წინ გადაღობილი უსამართლობის დასაძლევად, რათა შენს ხალხს, შენს ქვეყანას შეუქმნა უკეთესი ცხოვრება. ჰოდა, სწორედ ჩემი ცხოვრების ამ ეტაპზე მე შევხვდი კაცს, რომელიც, ვფიქრობ, თავისი ცხოვრების მჩქეფარე ეტაპის შუაგულში იდგა. ეს კაცი ნამდვილად ცდილობდა უკეთესი მომავლის შექმნას საკუთარი და სხვისი შვილებისათვის. სწორედ მისი გვერდში დგომა იყო ჩემი ცხოვრების მეორე ეტაპის ერთ-ერთი მიზანი - წრფელი, გულანთებული, როგორც კაცთა მოდგმას სჩვევია: „იქ, სადაც არ არის სამართალი, არ არის მშვიდობა“. ასეთ ჟამს მმართველის სკამში ღრმად ჩაფლული სახელმწიფო თუ არასახელმწიფო მანქანა იბრძოდა მის წინააღმდეგ. მე კი მზად ვიყავი ამ სახელმწიფო მანქანას წინ დავდგომოდი...

...დილის ათი საათია. რუსთაველზე, ქვაშვეთის ტაძრის წინ კანტიკუნტად მიმავალი ადამიანები ჩანან. მე დავიჩოქე ტაძრის წინ და ამ ადამიანის გამარჯვება შევთხოვე უფალს, რადგან მისი გამარჯვებით ღრმად მწამდა, რომ ბევრი კარგი საქმე გაკეთდებოდა!

ეს ადამიანი გელა ძიძიკაშვილია!

რა თქმა უნდა, ცხოვრებამ ეს ადამიანიც ატარა მისეულ აღმა-დაღმა ხნულებზე, მაგრამ ხნული ხომ სწორედ იმ მიწის ყივილია, ფეხსაცმელში რომ ჩაგივარდება და მისეულ კვალს დაგამჩნევს ტერფზე. ჰოდა, ასეც მოხდა, ამ ადამიანმა არ გადაუხვია მისეულ ხედვას კარგი საქმის კეთებისა, ადამიანების შეშველებისა!



ეს სურვილი არასოდეს გამქრალა მისი ცნობიერებიდან.

ამ ადამიანს კარგად იცნობენ ჩვენს სოფელში - სართიჭალაშიც მისეული, სასიკეთო საქმეების გამო.

სწორედ ეს დიდებული ტაძარი, რომელიც თავს იწონებს საქართველოს ძირძველი, ისტორიულ სოფელ ნორიოდან, მისი სულისა და გულის ამოძახილია!

ასეთი ადამიანები ნამდვილად ქმნიან ისტორიას!

**ზაზა დვალისვილი (თბილისი. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის გენერალური დირექტორის მოადგილე):** ადამიანს ღმერთი შეუდარებელი ნიჭით და უნარით აჯილდოვებს, მაგრამ არის გამორჩეული ტვირთი და პასუხისმგებლობა, რომელსაც ადამიანების ნაწილი იკისრებს ხოლმე, ისე, როგორც ეს მაგალითად ბატონმა გელა ძიძიკაშვილმა შეძლო.

კეთილი საქმეებიდან, რაც მას უკეთებია, გამორჩეულად მის მშობლიურ სოფელ ნორიოში მაღლიანი კვირაცხოვლის ტაძრის მშენებლობაა.

კვირაცხოვლობა ერთ-ერთი ბრწყინვალე დღესასწაულია ქრისტიანულ სამყაროში. მისი მაღლი და ძალა ფარავდეს ბატონი გელას ოჯახს, შთამომავლობას და ყველას, ვინც ამ ლამაზ ტაძარში შეაბიჯებს!

**რუსლან ხონელიძე (ქუთაისის მკვიდრი. საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის წევრი. ქუთაისის საპატიო მოქალაქე. გელა ძიძიკაშვილის მეგობარი):** ცხოვრებაში იშვიათად შემხვედრია ისეთი პიროვნება, რომელიც სხვების კეთილდღეობისათვის არის დაბადებული. გელა წარმოშობით სოფელ ნორიოდანაა. ერთად ვსწავლობდით აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ყამირზე და კომკავშირის აქტივშიც ერთად ვიყავით. სტუდენტობის დროს გაიცნო მომავალი მეუღლე - მშვენიერი ალა ფორჩხიძე და დაქორწინდა კიდეც. ქუთაისელების სიძემ დედასავით შეიყვარა ჩვენი თბილი ქალაქი. გელა მუდამ იმის ფიქრშია, როგორ სცეს ადამიანს პატივი, ვის რითი დაეხმაროს. ჩვენს ქალაქში არცერთ შეკრებას არ აკლდება, ქუთაისთან ძმობის დამაკავშირებელ „ხიდს“ არაფერს აკლებს, ამიტომაც ქალაქის მერიამ მას „ღვანულმოსილი ქუთაისელის“ წოდება მიანიჭა.

გელა დიდ ყურადღებას აქცევს თავის მშობლიურ სოფელ ნორიოს. საქართველოს ერთ-ერთ თვალსაჩინო სინმიდეს - ღვთაების მონასტერს სრული სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარა. შავნაბადას მონასტრის მშენებლობაში და რესტავრაციაში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი...

...ვინ მოთვლის მის მიერ განეულ ქველმოქმედებას. ამის შესახებ საქართველოს ისტორია იტყვის თავის სათქმელს...

უკანასკნელ პერიოდში კი მისი ინიციატივით და სრული დაფინანსებით ნორიოში აიგო წმიდა თომა მოციქულის (კვირაცხოველი) სახელობის ტაძარი, რისთვისაც მისი უწმიდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მაღლიერების სიგელით იქნა დაჯილდოებული.

მაღლობა ბატონ გელას გარჯისთვის და ღმერთმა უმრავლოს ჩვენს სამშობლოს ასეთი მამულიშვილები.

**ბატონი გოგი ტალიკიშვილი (სოფ. ნორიოს მკვიდრი):** ყველა ეპოქას ჰყავს ქვეყნისთვის მზრუნველი, ღირსეული და პატრიოტი ადამიანები, რომლითაც ყველა კუთხე ამაცობს. მათ შორის მინდა წარმოგიდგინოთ სოფელ ნორიოში დაბადებული და გაზრდილი ბატონი გელა ძიძიკაშვილი, რომელიც აღემატება თავისი ქმედებით, ქომაგობა-პატრონობით, ადამიანების გვერდში დგომით, წინა ეპოქაში ყველა კეთილშობილ მოღვაწეს. ბატონ გელას იცნობენ მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი ქვემო ქართლის ქალაქებში, ქართულ და არაქართულ სოფლებში, როგორც ყველა ჭირ-ვარამის გამზიარებელს და გვერდში იმედად მდგომს, გაჭირვებულთა დამხმარეს, სტუდენტების დამსაქმებელს, სპორტსმენების, ახალგაზრდების წამხალისებელს და ქველმოქმედს. ის ყველასთან ერთნაირად თავმდაბალი ადამიანია, სალამს ვერ დაასწრებ. ქვეყნის ტრადიციებისა და ადათ-წესების დამცველი და მაგალითის მიმცემია. ღვთაების მადლით გაზრდილს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ. ბატონი გელას აქტიური მონაწილეობით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში აღდგენილა და რესტავრირებულია მრავალი ეკლესია-მონასტერი. მათ შორის დიდი წვლილი მიუძღვის ღვთაების მონასტრის რესტავრირებასა და შავნაბადას სამონასტრო კომპლექსის აღდგენა-გამშვენების საქმეში. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია XXI საუკუნის დასაწყისში, ალბათ მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი გრანდიოზული, ბატონი გელას მიერ აშენებული კვირაცხოვლის ტაძარი, ულამაზესი ღვთის სახლი, ულამაზეს ადგილას, რომელიც გვირგვინად დაედგა ჩვენს სოფელ ნორიოს და ბატონ გელა ძიძიკაშვილის სახელს.

კვირაცხოველი და ყველა სალოცავი ყოფილიყოს ბატონი გელას და მისნაირი ადამიანების მფარველი!

**ირმა კურატიშვილი (სოფ. ნორიოს მკვიდრი):** ბატონ გელა ძიძიკაშვილს ბავშვობიდან ვიცნობ... ის ჩემი დის - ნელის თანაკლასელია. ისინი ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენთან და მათი გულწრფელი მეგობრობის და სიყვარულის მაგალითზე გავიზარდე.

წლების შემდეგ ბატონი გელა წარმატებული ბიზნესმენი და მეცენატი გახდა. მშობლიური სოფლის - ნორიოს და ხალხის მოსიყვარულემ მრავალი სიკეთე გაუკეთა სოფელს და არა მარტო მას.

ბატონმა გელამ ააგო კვირაცხოვლის დიდებული ტაძარი, რომელიც ჩვენი სოფლის მშვენიერებაა.

უფალმა დალოცოს და გააძლიეროს მისი ოჯახი და სრულიად საქართველო!

**ავთანდილ ბადრიძე (სოფ. ნორიოს მკვიდრი. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი):** ჩემი ახლო ურთიერთობა ბატონ გელა ძიძიკაშვილთან დაიწყო გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან, როდესაც მე ვმუშაობდი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში (ახლანდელი თბილისის მერია), ხოლო გელამ იმხანად მუშაობდა დაიწყო თბილისის საქარხნო რაიონის აღმასკომში (ახლანდელი თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა). ერთ სისტემაში საქმიანობის გამო ხშირად გვინევდა შეხვედრები. მან თვითონვე მიიქცია ჩემი ყურადღება, როგორც ენერგიულმა, მიზანსწრაფულმა, გულისხმიერმა და მცოდნე პიროვნებამ.

სწორედ ამ თვისებებმა განაპირობა მისი შემდგომი წარმატებები სახელმწიფო სამსახურში, ხოლო შემდგომ ბიზნესსაქმიანობაში, რომლის გაფართოების შემდეგ მას მიეცა საშუალება საქველმოქმედო მოღვაწეობის განსახორციელებლად. ეხმარებოდა სოფლის გაჭირვებულ მოსახლეობას, ასევე ქართული ხალხური სიმღერების ფოლკლორულ ანსამბლს - „ოცნებას“, აფინანსებდა მის გამოსვლებს. ყოველმხრივ ეხმარებოდა ქართული ხალხური ცეკვების საბავშვო ანსამბლს - „ღვთაებას“ და სხვა.

ბატონი გელას ქველმოქმედების მწვერვალია სოფელ ნორიოში წმიდა თომა მოციქულის სახელობის ტაძრის აგება.

იგი კვლავაც აგრძელებს თავის ენერგიულ, წარმატებულ, მრავალმხრივ მოღვაწეობას. ვუსურვებ მას ჯანმრთელობას, ოჯახის სიკეთეს და გამრავლებას, მრავალ წარმატებას თავის კეთილშობილურ საქმიანობაში.

**ოთარ აბრამიშვილი (სოფ. ნორიოს მკვიდრი):** სოფლისა და ხალხის უამრავი ქომაგი ახსოვს ნორიოს. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება და მისი წინამძღოლი გახლავთ ნორიოს მკვიდრი და მასზე უზომოდ შეყვარებული მეცენატი - ბატონი გელა ძიძიკაშვილი.

ძალიან ბევრ ახალგაზრდას, თავიანთი საგანმანათლებლო თუ სპორტული კარიერის ჩამოყალიბებაში, ახსოვთ, მეგობრულად თუ მამაშვილურად, ბატონი გელას მიერ „განვლილი ხელი“.

ბოლო პერიოდში კი, მის მიერ გაკეთდა დიდი საქმე. საუცხოო სტილში აშენდა კვირაცხოვლის სახელობის ტაძარი, სადაც უკვე კარგა ხანია აღევლინება წირვა-ლოცვა.

ღმერთმა უმრავლეს ქვეყანას ისეთი ადამიანები, როგორც ბატონი გელა ოთარის ძე ძიძიკაშვილია!

**როდამ ძიძიკაშვილი (სოფ. ნორიოს მკვიდრი):** ბატონ გელას ბავშვობიდან ვიცნობ. თითქმის ერთად გავიზარდეთ. მას ყოველთვის შორს მიმავალი კეთილი მიზნები ჰქონდა და აქვს. მისი ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ჩვეულებრივი, მშრომელი ოჯახის შვილი გახდეს ძალიან წარმატებული ქველმოქმედი ადამიანი. მას არაჩვეულებრივი ოჯახი, საუკეთესო მეუღლე და წარმატებული შვილები ჰყავს, რომლებიც მუდამ გვერდში უდგანან სასიკეთო საქმეების განხორციელებაში.

ბატონი გელა ნიჭსა და ენერგიას არ იშურებს ქვეყნის და ჩვენი სოფლის ასაღორძინებლად. იგი იმედია ყველა გაჭირვებულისა და ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ სხვაგვარად არ ძალუძს. იგი უამრავ მადლობას იმსახურებს, მაგრამ გამორჩეულია მისი ღვაწლი ნორიოს კვირაცხოვლის ტაძრის აშენება-აღორძინების საქმეში, რომელიც ჩვენი სოფლის მშვენიერად იქცა და დარჩება შთამომავლობას საუკუნეების განმავლობაში. ეს ტაძარი არის ყველა მის მიერ გაკეთებული სასიკეთო საქმეების გვირგვინი.

ღმერთმა უმრავლეს საქართველოს ბატონი გელასნაირი ადამიანები. ასეთ ადამიანებზე დგას ჩვენი ქვეყნის ძლიერება.

**მანანა ძიძიკაშვილი (სოფ. ნორიოს მკვიდრი):** ცნობილი ბიზნესმენი და მეცენატი, პროფესიით ინჟინერი, ბატონი გელა ძიძიკაშვილი დაიბადა სოფელ ნორიოში. დღესდღეობით



იგი გახლავთ მრავალი სხვადასხვა ბიზნესის მფლობელი. არც სახელმწიფო სამსახურს აკლებს თავის დროსა და გამოცდილებას.

ბატონი გელა გახლავთ ქველმოქმედი ადამიანი, რომლის მიერაცაა დაფინანსებული არაერთი კულტურული ღონისძიება. მისი წყალობით დაფინანსდა და გამოიცა რაიონის ნიჭიერ ადამიანთა პოეზიისა და პროზაულ ნაწარმოებთა წიგნები. ეხმარება გაჭირვებულ ოჯახებს, სწულებს. მისი ქველმოქმედებით განახლდა სხვადასხვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა. ყველაფერ ამ სიკეთის დამაგვირგვინებელი კი გახდა მის მიერ აშენებული და აღდგენილი თომა მოციქულის სახელობის ულამაზესი ტაძარი თავისი დამხმარე ნაგებობებით. ამ ტაძრის აშენებით, მან თავისი თავი უკვდავყო, სოფელს კი საკმაოდ ძვირფასი საჩუქარი გაუკეთა, რამაც ბევრ ადამიანს სულიერი ცხოვრებისაკენ უბიძგა. ეკლესიის მახლობლად გააკეთა ბავშვთა გასართობი სკვერი, რომელმაც ბავშვებს სიხარული მიჰგვარა და ცხოვრება გაუხალისა.

ამ სიკეთეთა ჩამონათვალმა შეიძლება ძალიან შორს წაგვიყვანოს, რადგან მრავლადაა. ამიტომ მთელი ჩვენი სოფლის სახელით უღრმეს მადლობას ვუხდით ამ არაჩვეულებრივ და დიდებულ ადამიანს, რომელიც ყველასათვის მისაბაძია.

ღმერთმა დალოცოს, ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე მისცეს და კიდევ მრავალი კეთილი საქმეების კეთების ძალა და უნარი მიანიჭოს.

**ირაკლი ჯაფარიძე (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ფიგურულ სრიალში):**

- ჩემმა მეგობარმა გელა ძიძიკაშვილმა უფლის წყალობით შეძლო და ძველ ნასაყდრალზე ააშენა კვირაცხოვლის სახელობის ეკლესია სოფელ ნორიოში, სადაც ადრე წმიდა თომა მოციქულის სამლოცველო იყო. კვირაცხოვლის ეკლესია გაიხსნა 2021 წლის 18 ივლისს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მას, რომ ნორიოს მაცხოვრებლებს და სრულიად საქართველოს ასეთი საოცარი საჩუქარი მოგვმადლა.



ასე დაიწყო სოფელ ნორიოში წმიდა თომა მოციქულის  
სახელობის ტაძრის (კვირაწხოველი) მშენებლობა





















ზაჭონი გელა ძიძიკაშვილი ჭაძრის მშენებელ  
ზაჭონ მიხეილ ხუცუნაშვილთან ერთად





სოფელ ნორიოს მკვიდრი 104 წლის ქალბატონი  
ელენე (ელო) ძიძიკაშვილი  
ლორწულობს კვირარხოვლის ნაეკლესიარ ადგილზე  
დაშენებულ გვიანი შუა საუკუნეების ნიშთან





წმიდა თომას მონასტრის სალონის  
(კვირარხოველი) აღდგენა

















გარდაზნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია)  
სოფელ ნორიოში აკურთხა ნმიდა თომა მორექულის სახელობე  
(კვირარხოველი) ასაშენებელი ჭაძრის საძირკველი













ჭაძრის მშენებლობა სიხარულით და  
განსაკუთრებული მონდომებით დანსო










































































სოფელ ნორიოს წმიდა თომა მოციქულის სახელობის  
ჭაძარი – კვირარხოველი

































ჭაძარი მოხატა და გაამშვენა სოფელ ნორიოს მკვიდრმა  
ზატონმა დიმიტრი ძიძიკაშვილმა

















ზაჭონი გელა ძიძიკაშვილი წმიდა თომა მოციქულის  
ჭაძრის (კვირაეხოველი) წინამძღვართან  
მამა კახაბერთან (ყურთაშვილი) ერთად



სოფელ ნორიოს წმიდა თომა მოციქულის სახელობის  
ჭაძარში (კვირაეზხოველი) პირველი ნიშნა ჩაჭარდა 2021  
წლის 18 ივლისს, რომელიც აღვლინა გარდაზნის და  
მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია)















































































































გარდაზნისა და მარტყოფის ეპისკოპოსი იოანე (შომასხია),  
სოფელ ნორიოს წმიდა თომა მოციქულის ტაძრის  
(კვირაეხოველი) წინამძღვარი კახაბერი (ყურთაშვილი) და  
ბატონი გელა ძიძიკაშვილი სასულიერო პირებთან ერთად









[www.mtsignobari.ge](http://www.mtsignobari.ge)

დაიბეჭდა შპს „მნიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71





წმიდა წერილი გვასწავლის: „ღმერთი ადამიანამდე დამდაბლდა, რათა ადამიანი აეყვანა ღმერთამდე“. სწორედ მართლმადიდებლურმა ქრისტიანულმა რელიგიამ და შესაბამისად ცხონებისაკენ სწრაფვამ, თითოეულ ჩვენგანს გაუხსნა საკუთარი თავისა და სამყაროს შემეცნების უნარი, დაანახა ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს, რომ მისი ამქვეყნიური მოვალეობაა სიყვარული და ცხოვრების უმთავრესი პრინციპი კი სიკეთის ქმნა.

დღევანდელ დღეს, მრავალი ტკივილის გადატანა და პრობლემის მოგვარება რწმენასთან ზიარებით არის შესაძლებელი, ხოლო ბოროტების დამარცხება – სიკეთით, რაც საბოლოოდ განაგდებს ადამიანისაგან უკეთურებასა და მტრობას.